FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

კონსტანტინე თვალაშვილის ისტორია

კონსტანტინე თვალაშვილი პროფესიით პროგრამისტია, რომელიც 2024 წლის 30 ნოემბერს, რომელიც მორიგი აქციის დროს, გამთენიისას, დაახლოებით 06:10 საათზე დააკავეს. ის მეგობრებთან ერთად იყო ბესიკის ქუჩის ასახვევში, რა დროსაც მათი მიმართულებით სპეცრაზმის კორდონი დაიძრა. აქციის მონაწილეებში შეიქმნა ქაოსი. ისინი ოპერის მიმართულებით დაიძრნენ, მაგრამ სპეცრაზმელები ამ მხირდანაც გამოჩნდნენ. ხალხი კვლავ "მერიოტის" მიმართულებით წავიდა, რა დროსაც კონსტანტინე თავის ერთ-ერთ მეგობართან ერთად სპეცრაზმთან ძალიან ახლოს აღმოჩნდა.

აქციის მონაწილეები ერთგვარ ალყაში მოექცნენ, გასაქცევი კი, ფიზიკურად აღარსად იყო. ნიღბიანებმა კონსტანტინეს მეგობარი ძალის გამოყენებით დააკავეს, თავად კი, მის დახსნას ცდილობდა. სწორედ ამ დროს, მოხდა თვალაშვილსაც დაარტყეს და დაიჭირეს. დაზარალებული ამბობს, რომ სპეცრაზმელები განსაკუთრებული და არნახული აგრესიით გამოირჩეოდნენ. ისინი ძალადობდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. კონსტანტინეს მუშტებით, წიხლებითა და ხელკეტებით ურტყამდნენ სახის, თავის, ტორსისა და მკლავების მიდამოებში.

დაკავებული პროგრამისტი რუსთაველის გამზირამდე ძალის გამოყენებით ისე ატარეს, რომ ლანძღვა-გინება და ცემა არ შეუწყვეტიათ. თვალაშვილი სპეცრაზმს წინააღმდეგობას არ უწევდა და მორჩილად მიჰყვებოდა, მაგრამ სამართალდამცავების მხრიდან ძალადობა მაინც გრძელდებოდა. ერთ-ერთი მორიგი დარტყმის დროს, კონსტანტინეს ხმა ჩაესმა: "ადექი, აღარ გირტყამენ, ადექი!".

დაკავებული თვალაშვილი ორმა პოლიციელმა მანქანისკენ წაიყვანა. ამ დროს, ნაცემი კონსტანტინე ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სპეცრაზმი მას კვლავ კვალდაკვალ მისდევდა. პოლიციელები სპეცრაზმის შეჩერებას ცდილობდნენ და ეუბნებოდნენ: "ნუღარ ურტყამთ, უკვე დაკავებულია". მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი ნიღბიანი პოლიციელს მაინც დაუსხლტა და კონსტანტინეს სახეში ძლიერად ჩაარტყა, რა დროსაც დაზარალებულს ცხვირიდან სისხლი წასკდა.

კონსტანტინე პოლიციის ავტომობილში მოათავსეს, სადაც მასზე ფსიქოლოგიური ძალადობა ისევ გაგრძელდა: „რა გინდა შვილო მაგ პიდარასტებთან?" „ვის გამო დგახარ? თვითონ (პოლიტიკოსები) წავიდნენ, ფულს იღებენ, მშვიდად სძინავთ, შენ კიდევ შარში გაეხვიე მაგათ გამო. მიგატოვეს სპეცრაზმთან". „ომი გინდათ?"

დროებითი მოთავსების იზოლოტარში მიყვანისას, ექიმმა თვალაშვილი ვიზუალურად შეამოწმა, მაგრამ დეტალურად არ გაურკვევია, სჭირდებოდა თუ არა დაზარალებულს სამედიცინო ჩარევა. იმ მომენტში, კონსტანტინეს ცხვირი ჰქონდა შეშუპებული და ძლიერ ტკივილს განიცდიდა. იზოლატორის დატოვების შემდეგ, თვალაშვილს ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება და დადასტურდა ხრტილოვანი მოტეხილობა.

კონსტანტინეს საქმე განიხილა მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილმა. დაკავებულს ბრალი ედებოდა პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასა და მის შეურაცხყოფაში. სასამართლოზე ჩვენება მხოლოდ ერთმა პოლიციელმა მისცა, რომელიც რეალურად მისი დაკავების მომენტში ადგილზე არც ყოფილა. მოსამართლე ცაგარეიშვილმა თვალაშვილი სამართალდამრღვევად ცნო და 8 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ. პუნქტითა და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაზე, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, ანუ მის იძულებას გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე თვალაშვილი არ არის პროფესიით ჟურნალისტი და მის მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის გამოძიება სხვა პირების მიმართ ჩადენილი ქმედებებთან ერთად ერთი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარეობს, რაც საგამოძიებო ორგანოს მავნე პრაქტიკაა, ქმნის გამოძიების ეფექტიანობის ილუზორულ შთაბეჭდილებას ერთი საქმის ფარგლებში ბევრი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების განხორციელებით.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა კონსტანტინე თვალაშვილს ჩაუტარა სამედიცინო ექსპერტიზა, რის შემდეგაც დეტალურად დაიკითხა. ჯერჯერობით, სამართალდამცავებს კონსტანტინესთვის დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ.